ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №477006

ნომერი: AR199046

თარიღი : 18.12.2012

გაცემის თარიღი : 28.12.2012

გაცნობის თარიღი : 10.04.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იოსებ კენჭაძე პ/ნ 01023012078
- თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. N 41ვ ბ. 25

ორგანიზაცია:

- შპს "გალერეა დიდუბე" კოდი: 400029697

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

AR199046 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ #1025 (12.07.2010) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას, გაცნობებთ, რომ მოთხოვნის ტექსტისთვის გამოყოფილ ველში გაურკვევლად გაქვთ დაფიქსირებული მოთხოვნა. საიდანაც ვერ ირკვევა რა ცვლილების განხორციელებას ითხოვთ ზემოაღნიშნულ დოკუმენტში. გთხოვთ ამავე განაცხადის დახარვეზებულ ველში დააზუსტოთ ინფორმაცია. ასევე გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა დასაშვებია ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრის და მისი მინდობილი პირის, ან თავად აღნიშნულ დოკუმენტში დაფიქსირებული განმცხადებლის განაცხადის საფუძველზე.
ქალაქთმშენებლობითი პირობებში ცვლილების შეტანისთვის გათვალისწინებული ვადა განისაზღვრება 15 სამუშაო დღით. თქვენი განხცადება სამსახურში შემოვიდა 2012 წლის 18 დეკემბერს თანდართული დოკუმენტაციის განხილვაზე სამსახურმა გამოიყენა 9 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების რეგისტრაციიდან 15 დღიანი ვადა მითითებული დოკუმენტის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ ქალაქთმშენებლობითი პირობების დასადგენად სამსახურს დარჩენილი აქვს 6 სამუშაო დღე; დანიშნულ ვადაში განაცხადის არწარმოდგენის შემთხვევაში, საკითხი დარჩეს განუხილველი.
ამასთან, გაცნობებთ, რომ მოთხოვნილი დოკუმენტი (მიწის ნაკვეთის მესაკუთრის, ან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების განმცხადებლის მინდობილობა) უნდა ატვირთოთ განაცხადის დამატებითი დოკუმენტის ველში, ან დააფიქსიროთ ერ–ერთი პიროვნება თანაგანმცხადებლის ველში. მოთხოვნილი დოკუმენტის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს #237-83-46;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.